**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბარათაშვილი შადიმან

ბარათაშვილი შადიმან, ქართლის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე XVI ს. ბოლოსა და XVII ს. I მესამედში. მეფის სუფრაჯი, ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის მამამძუძე, დიდ ფეოდალთა დაჯგუფების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გ. სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების (1612) ორგანიზატორი. ირანელთა 1614 შემოსევის დროს შაჰ-აბას I-ის სამსახურში ჩადგა; იმერეთიდან მოტყუებით გადმოიყვანა ლუარსაბ II და შაჰს მიჰგვარა.

*წყარო:* ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

*ლიტ.*: ჯ ა მ ბ უ რ ი ა  გ., გიორგი სააკაძე, თბ., 1964.

***გ. ჯამბურია***